# ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

2–10 დეკემბერი, 2022

პროგრამა



USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

# ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

## 2–10 დეკემბერი, 2022

**ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის არსებობის მანძილზე პირველად, კვირეულის გახსნა ჩატარდება რეგიონის უნივერსიტეტში, კერძოდ 2022 წლის კვირეულის გახსნის ღონისძიებას უმასპინძლებს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 2 დეკემბერი<br>**12:00-14:00** | **კვირეულის გახსნა**<br>**საპანელო დისკუსია**<br>**რუსეთ-უკრაინის ომი და ადამიანის უფლებები**<br><br>**მომხსენებლები:**<br>***რაულ ჩილაჩავა*** *– დიპლომატი, მეცნიერი, მთარგმნელი, პოეტი, ჟურნალისტი*<br>***ნანა მჭედლიძე*** *– ალტე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სპეციალისტი*<br>***თამარ თომაშვილი*** *– თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*<br><br>**მოდერატორი:**<br>***თინათინ გოლეთიანი*** *– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*<br><br>**ფურშეტი**<br><br>გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აუდიტორია #219, წითელი დარბაზი<br>მისამართი: გორი, ჭავჭავაძის #53 |
| 3 დეკემბერი<br>**11:00-14:00** | **სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი**<br>**სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მე-4 სტუდენტური კონფერენცია**<br>**ადამიანის ძირითადი უფლებები**<br>კონფერენციის მიზანია ადამიანის უფლებებთან მიმართებით პრობლემური და აქტუალური საკითხების განხილვა და მისი გადაჭრის გზების დასახვა. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს. აღნიშულ კონფერენციაში განსაზღვრულია საპრიზო ადგილები და სიმბოლური საჩუქრები.<br><br>**მომხსენებლები:**<br>*სხვადასხვა უნივერსიტეტთა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტები*<br><br>სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, აუდიტორია #401<br>მისამართი: თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის #3 |

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 3 დეკემბერი **13:00-14:30** | **კავკასიის უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**COVID-19 პანდემიის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს ძირითადი უფლებების შემზღუდველი აქტების კანონიერება**<br>საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის დროს დადგენილი შეზღუდვების კანონიერება და, შესაბამისად, ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის ლეგიტიმაცია. ლექციაზე ასევე განხილული იქნება საია-ს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული ნორმა, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებების განხორციელებას ითვალისწინებს საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე, რაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას ზღუდავს.<br><br>მომხსენებელი:<br>***ნიკა სიმონიშვილი*** *– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე*<br><br>კავკასიის უნივერსიტეტი, მე-3 სართული, სასამართლო დარბაზი<br>მისამართი: თბილისი, პაატა სააკაძის #1 |
| 3 დეკემბერი **17:00-18:30** | **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>ფილმის ჩვენება და დისკუსია<br>**ფილმის ჩვენება და დისკუსია “AS I WANT”**<br>ფილმი მოგვითხრობს ამბავს ეგვიპტის 2011 წლის 25 იანვრის რევოლუციის შესახებ, როდესაც მუჰამედ მორსის მოწინააღმდეგეთა საპროტესტო აქციაზე კაცების ჯგუფი ქალებს დაესხა თავს. თავდასხმის ეპიცენტრში მოხვედრილმა კინორეჟისორმა აღბეჭდა კაიროს ქუჩებში მოსიარულე ბრბო, რომელიც სასტიკად გაუსწორდა თავსაბურის გარეშე გამოსულ მომიტინგე ქალებს. დისკუსიაზე მომხსენებელთან ერთად ვისაუბრებთ ეგვიპტის რევოლუციის ისტორიულ კონტექსტსა და ფილმში წამოჭრილ ადამიანის უფლებათა სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე.<br><br>მომხსენებელი:<br>***თამარ ცხადაძე*** *– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*<br><br>მოდერატორი:<br>***ვიკა შაყულაშვილი*** *– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი*<br><br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, წიგნის სახლი „ლიგამუსი“<br>მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #32 |

| დრო | ლოკაცია |
|---|---|
| 5 დეკემბერი<br>11:00-13:00 | **საქართველოს უნივერსიტეტი**<br>საჯარო დისკუსია<br>**ნაფიც მსაჯულთა სასამართლო**<br>დისკუსიის დროს განხილული იქნება ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის თავისებურებები, არსებული პრობლემები და გამოწვევები.<br><br>მომხსენებლები:<br>***ეკა გაბრიჩიძე*** *– თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე*<br>***გიორგი ტურაზაშვილი*** *– ადვოკატი*<br><br>მოდერატორი:<br>***ირმა გელაშვილი*** *– საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი*<br><br>საქართველოს უნივერსიტეტი, მე-5 სართული, აუდიტორია 519<br>მისამართი: მერაბ კოსტავას #77ა |
| 5 დეკემბერი<br>14:00-15:30 | **საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**<br>საპანელო დისკუსია<br>**უკრაინა და საერთაშორისო სამართალი: ადამიანის უფლებები გლობალურ კონტექსტში**<br>დისკუსიაზე მიმოხილული იქნება პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ტერიტორიული კონფლიქტების პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი. ამასთან, უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესია და მისი წინაპირობები, ომის მიმდინარეობა და შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი კონტექსტი; და ბოლოს: ადამიანის ძირითადი უფლებები გლობალურ კონტექსტში.<br><br>მომხსენებლები:<br>***თინათინ ერქვანია*** *– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ასოცირებული პროფესორი*<br>***ბაკურ კვაშილავა*** *– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი*<br><br>საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, აუდიტორია #9<br>მისამართი: თბილისი, გურამ ფანჯიკიძის #1/პეკინის გამზირი #42ა |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|

**5 დეკემბერი**
**17:00-19:00**

## სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

**საპანელო დისკუსია**

### მოწყვლადი ჯგუფები და თანასწორობის უფლება

საპანელო დისკუსიის ფარგლებში განხილული იქნება სქესის ნიშნით დისკრიმინაცია, ქალთა მიმართ ძალადობა, სექსუალური უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.

**მომხსენებლები:**

***მაია კოპალეიშვილი*** – *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე*

***ცისია ოქროპირიძე*** – *სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტი, ანტიდისკრიმინაციული სამართლის ცენტრის ხელმძღვანელი, ლექტორი*

***ქეთევან ხომერიკი*** – *სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, აუდიტორია #401
მისამართი: თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის #3

**5 დეკემბერი**
**19:00-20:30**

## თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

**საჯარო დისკუსია**

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეების მიმოხილვა

დემოკრატიულ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებებში არათანაზომიერი ჩარევისგან დაცვის გარანტიას. საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საქმეები, რომელთა გადაწყვეტასაც შესაძლოა განსაკუთრებული გავლენა ჰქონდეთ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებაზე.

**მომხსენებლები:**

***ვასილ ქიქიაშვილი*** – *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონსტიტუციო სამართალწარმოების გუნდის იურისტი*

***ეკა მამრიკიშვილი*** – *საქართველოს სახალხო დამცველის სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი*

*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები:* ***ლუკა გოგუა, ბაჩანა ფირცხალაშვილი***

კახა ბენდუქიძის კამპუსი, საკონფერენციო დარბაზი (აუდიტორია #200)
მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #240

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 6 დეკემბერი **18:00-19:30** | **ალტე უნივერსიტეტი**<br>საჯარო დისკუსია<br>**ადამიანის უფლებებისა და ომის სამართლის ურთიერთქმედება: უკრაინის მაგალითი**<br>საჯარო დისკუსია შეეხება რუსეთის ომს უკრაინის წინააღმდეგ. კერძოდ, რა საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები აკისრია რუსეთს უკრაინის მიმართ? მომხსენებელი განიხილავს ომის დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის პრობლემურ ასპექტებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის მოქმედების ჭრილში.<br><br>მომხსენებელი:<br>***ნათია კალანდარიშვილი-მიულერი*** *– ალტე უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ექსპერტი*<br><br>ალტე უნივერსიტეტი, აუდიტორია 106<br>მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა #2 |
| 7 დეკემბერი **13:00-14:00** | **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში**<br>ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები. ყურადღება გამახვილდება რუსეთ-უკრაინის შეიარაღებულ კონფლიქტში გამოვლენილი ადამიანის უფლებების დარღვევებზე და ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობაზე.<br><br>მომხსენებელი:<br>***ჭაბუკი ქეიშვილი*** *– ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*<br><br>ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსი, აუდიტორია #1208<br>მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის #59 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 7 დეკემბერი<br>**13:00-14:30** | **შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც მოქალაქის უფლება და შესაძლებლობა**<br>საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ინსტიტუციური დემოკრატიზაციის გზაზე ერთ-ერთი უმთავრესი და მყარი საყრდენი და იგი დანახული იქნება უფლებათა პრიზმაში, როგორც მოქალაქის უფლება და შესაძლებლობა.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***სანდრო სორდია*** *– შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი, დოქტორანტი*<br><br>შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, აუდიტორია #113<br>მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას #14 |
| 7 დეკემბერი<br>**15:30-17:00** | **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**ადამიანის უფლებები, როგორც კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნების მექანიზმი**<br>საჯარო ლექცია შეეხება ადამიანის უფლებათა ღირებულებით დატვირთვას კონსტიტუციური წესრიგის პერსპექტივიდან. ლექციაზე განხილული იქნება ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობის დაცვა; ადამიანის უფლებები და მასში ჩარევის კონსტიტუციური მასშტაბი; ადამიანის უფლებები, როგორც კონსტიტუციური სტაბილურობის შენარჩუნების გარანტია და სხვა.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***თამარ ავალიანი*** *– შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი*<br><br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკის საკონფერენციო ოთახი<br>მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, #2 |

| დრო | ლოკაცია |
|---|---|
| 7 დეკემბერი 17:00-18:00 | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br>*იმიტირებული სასამართლო პროცესები*<br>**ფემიციდის დანაშაულის სასამართლო განხილვა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით**<br>იმიტირებული სასამართლო პროცესი წარიმართება ფემიციდის დანაშაულის საქმეზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნაფიცი მსაჯულები<br><br>საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აუდიტორია #3-17<br>მისამართი: თბილისი, წინანდლის #9 |
| 7 დეკემბერი 18:00-19:30 | **ალტე უნივერსიტეტი**<br>*საჯარო დისკუსია*<br>**რუსეთის სამხედრო აგრესია და იძულებით გადაადგილებული პირები**<br>საჯარო დისკუსია შეეხება რუსეთის სამხედრო აგრესიას საქართველოსა და უკრაინაში და მის შედეგებს, კერძოდ, ოკუპირებული და ანექსირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების სამართლებრივ და უფლებრივ მდგომარეობას, უკრაინის ტერიტორიაზე ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულებებს, ინდივიდუალურ შემთხვევებს, რაც ჰააგის სასამართლოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ მიმართვას დაედო საფუძვლად. დისკუსიის შემდეგ უნივერსიტეტში გაიმართება საქართველოში მცხოვრები უკრაინელი დევნილების მიერ დამზადებული ნივთების გამოფენა-გაყიდვა.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***გიგა ლემონჯავა*** *– ალტე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*<br><br>ალტე უნივერსიტეტი, საკონფერენციო დარბაზი<br>მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა #2 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 8 დეკემბერი<br>**10:00-13:00** | **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო დისკუსია<br>**პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება**<br>დისკუსიის ფარგლებში სტუდენტები წარმოადგენენ პრეზენტაციებს, რომლებიც უკავშირდება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, შემდგომში გაიმართება მსჯელობა პრეზენტაციებში დასმული საკითხების გარშემო.<br><br>**მომხსენებლები:**<br>*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები:* ***ანა ხვედელიძე, მეგი პაქსაძე, დავით კახიძე, სანდრო კიკნაძე.***<br><br>**მოდერატორი:**<br>***ნიკოლოზ მეგრელიშვილი*** *– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი*<br><br>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აუდიტორია #532<br>მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა #35 |
| 8 დეკემბერი<br>**15:30-17:00** | **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**<br>საჯარო დისკუსია<br>**ქალთა უფლებები საომარი ვითარების დროს – მიღწევები და გამოწვევები**<br>საჯარო ლექციაზე  განხილული იქნება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოწვევები ქალთა უფლებების დაცვის ჭრილში, ასევე ომიანობის დროს დაზარებულ ქალთა რეაბილიტაციის საკითხები.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***ლალი დევიძე*** – *მკვლევარი კონფლიქტისა და გენდერის მიმართულებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, უფროსი სპეციალისტი.*<br><br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკის საკონფერენციო ოთახი<br>მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, #2 |

| ᲓᲠᲝ | ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ |
|---|---|

**8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ**
**17:00-18:00**

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

**საჯარო ლექცია**

### ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით განმარტებული სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები, რომ პირი არ დაექვემდებაროს ამა თუ იმ ნიშნით/სტატუსით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულს როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლისგან, ისე კერძო პირისგან და რომ ქმედითად იქნეს გამოძიებული ნებისმიერი მსგავსი ქმედება, მიუხედავად იმისა, სავარაუდოდ, ჩადენილია სახელმწიფოს წარმომადგენლის თუ კერძო პირის მიერ.

**მომხსენებელი:**
***ნანა მჭედლიძე*** *– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი, ალტე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სპეციალისტი*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-2 კორპუსი, აუდიტორია #133
მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #3

**8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ**
**18:00-19:30**

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

**საჯარო დისკუსია**

### ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ – ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოება გულისხმობს ევროსასამართლოს მიერ შემოწმებას თუ რამდენად ასრულებენ წევრი სახელმწიფოები კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში. საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ არსებული საჩივრები, რომელთა განხილვასა და გადაწყვეტას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ქართული სამართლის სისტემაზე და ეროვნულ დონეზე გააუმჯობესებს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტს.

**მომხსენებლები:**
***ვასილ ქიქიაშვილი*** *– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონსტიტუციო სამართალწარმოების გუნდის იურისტი*

***თამარ ონიანი*** *– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდის ხელმძღვანელი*

*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები:* ***ნიცა სირაძე, რუსუდან გოჩიტაშვილი***

კახა ბენდუქიძის კამპუსი, საკონფერენციო დარბაზი (აუდიტორია #200)
მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #240

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 9 დეკემბერი<br>12:00-13:00 | **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო დისკუსია<br>**ადამიანის უფლებათა გაკვეთილი ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში**<br>ადამიანის უფლებათა გაკვეთილები ყვარლის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში პარალელურ რეჟიმში გაიმართება, სადაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებმა სტუდენტებთან ერთად ისაუბრონ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ მნიშვნელოვან საკითხებსა და გამოწვევებზე. გაკვეთილის მსვლელობისას სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ დასვან მათთვის საინტერესო შეკითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში.<br><br>**მომხსენებლები:**<br>*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები:* ***მარიამ გვასალია, აიჰან ჰასანლი, ნიკა გურინი, თამთა კახიძე, ხატია ცეცხლაძე, თამთა წვერაიძე***<br><br>ქ. ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის #1 საჯარო სკოლა;<br>ქ. ყვარლის #2 საჯარო სკოლა;<br>ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზის საჯარო სკოლა;<br>ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა;<br>ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა. |
| 9 დეკემბერი<br>12:00-14:00 | **კავკასიის უნივერსიტეტი**<br>საჯარო ლექცია<br>**საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული აქტუალური და პრობლემური საკითხები**<br>საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული აქტუალური და პრობლემური საკითხები, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების რეგისტრაცია და მიმდინარე რეფორმები, ასევე რეგისტრაციის და სასამართლო წარმოების საკითხებთან დაკავშირებული თავისებურებები.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***დავით დევიძე*** *– სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე*<br><br>კავკასიის უნივერსიტეტი, მე-3 სართული, სასამართლო დარბაზი<br>მისამართი: თბილისი, პაატა სააკაძის #1 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|

**9 დეკემბერი**
**12:00-13:00**

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამუშაო შეხვედრა**

**მოსამართლის როლი ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში**

შეხვედრის ფარგლებში საუბარი იქნება მოსამართლის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში ქართულ და ამერიკულ რეალობაში.

**მომხსენებლები:**

***ჯეიმს რედვაინი*** *– ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლე*

***მანანა კობახიძე*** *– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე*

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აუდიტორია #534
მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა #35

**9 დეკემბერი**
**13:00-14:00**

## გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამუშაო შეხვედრა**

**შრომის უფლების შეზღუდვა ომის პერიოდში**

ღონისძიების ფარგლებში პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები წარმოადგენენ მოკლე მოხსენებას შრომითი უფლებების შესახებ ომის დროს. შეხვედრის შემდეგ გაიმართება დისკუსია.

**მომხსენებლები:**

***ეკატერინე ქარდავა*** *– გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

***დავით კვერნაძე*** *– გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი*

***ივანე ბალახაშვილი*** *– გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი*

*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები:* ***ნინო ადუაშვილი, მარიამ კაპანაძე, დაჩი ჩხარტიშვილი, ალექსანდრე სადაღაშვილი***

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აუდიტორია #205
მისამართი: გორი, ჭავჭავაძის #53

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |

**9 დეკემბერი**
**13:00-15:00**

## შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**საჯარო ლექცია**

### ბავშვთა მიმართ ძალადობა და მისი შემცირება საქართველოში

საჯარო ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ბავშვთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობის, გაძლიერებისა და დაცვის ღონისძიებები, ძირითადი აქცენტი გაკეთდება ბავშვთა უფლებების საკითხების ინტეგრირებაზე საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სივრცეში, ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებსა და სამომავლო პერსპექტივებზე.

**მომხსენებელი:**
***რონა პერტია*** – *შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი, იურისტი*

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
აუდიტორია #113
მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას #14

---

**9 დეკემბერი**
**15:00-17:30**

## გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

**საჯარო დისკუსია**

### ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

საჯარო დისკუსიის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა ქალთა ქონებრივი უფლებები, საკუთრების უფლების მოპოვება და დაცვა, ქალების ფინანსური დამოკიდებულება ოჯახზე/კაცზე, საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები, გენდერული სტერეოტიპების და გენდერული მიკერძოების ფაქტების იდენტიფიცირება, ოჯახში ძალადობა, სასამართლოს როლი მის პრევენციაში და დაზარალებული ქალების დაცვაში: შემაკავებელი და დამცავი ორდერები.

**მომხსენებლები:**
***ხატია არდაზიშვილი*** – *თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე*

***ქეთევან მამაცაშვილი*** – *თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე*

***ბადრი ნიპარიშვილი*** – *თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე*

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,
ღია სივრცე ატრიუმი
მისამართი: თბილისი, ირინა ენუქიძის #3,
აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 9 დეკემბერი<br>17:30-18:00 | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br>**საპანელო დისკუსია**<br>**ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფორმები და დაცვისა და დახმარების სამართლებრივი მექანიზმები**<br>შეხვედრაზე განხილული იქნება ოჯახში ძალადობის ფორმები და მათ გამოვლენასთან დაკავშირებული სირთულეები. ასევე, ყურადღება გამახვილდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე, კერძოდ ოჯახში ძალადობის რა ფორმები ითვლება დანაშაულად და როგორ ისჯება, რა შემთხვევაში გამოიყენება შემაკავებელი და დამცავი ორდერები და როდის წესდება მოძალადეებზე ელექტრონული ზედამხედველობა.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***გოგა ხატიაშვილი*** *– საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს მოწვეული ლექტორი*<br><br>საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აუდიტორია #3-17<br>მისამართი: თბილისი, წინანდლის #9 |
| 9 დეკემბერი<br>18:00-18:30 | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br>**საპანელო დისკუსია**<br>**უმცირესობების მონაწილეობა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში და არსებული გამოწვევები**<br>საჯარო ლექციის ფარგლებში გაანალიზებული იქნება უმცირესობების სპეციალური უფლებების არსი; უმცირესობების მონაწილეობის ინსტიტუციური ბარიერები პირველი დონის დემოკრატიის ეტაპზე და ცენტრალურ დონეზე; ასევე, გაანალიზდება უმცირესობების მონაწილეობის მომწესრიგებელი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და ევროსაბჭოს ინსტრუმენტები.<br><br>**მომხსენებელი:**<br>***თამარ ავალიანი*** *– საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი*<br><br>საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აუდიტორია #3-17<br>მისამართი: თბილისი, წინანდლის #9 |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 10 დეკემბერი<br>**10:00-17:00** | **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო დებატები<br>**საპარლამენტო დებატების საუნივერსიტეტო ტურნირი**<br>საუნივერსიტეტო ტურნირ საპარლამენტო დებატებში (ბრიტანული სტილი) მონაწილეობას მიიღებს წინასწარ რეგისტრირებული 16 გუნდი (32 სტუდენტი). სტუდენტები გადამზადდებიან დებატების წესებსა და რეზოლუციის ჩამოყალიბების ფორმატზე. დებატების ტურნირის რეზოლუციები შეირჩევა ადამიანის უფლებების თემატიკიდან.<br><br>**მომხსენებლები:**<br>*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის 32 სტუდენტი*<br><br>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აუდიტორიები #515, 532, 534<br>მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა #35 |
| 10 დეკემბერი<br>**12:00-13:00** | **კვირეულის დახურვა**<br>ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს 10 დეკემბერს, 2022 წლის ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულში მონაწილე უნივერსიტეტები ტრადიციულად გამოავლენენ გამარჯვებულ კანდიდატებს და ჯილდოს გადასცემენ 2 ნომინაციაში:<br>• ადამიანის უფლებების დაცვაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის<br>• ადამიანის უფლებების სამართლის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის<br><br>ფურშეტი<br><br>კახა ბენდუქიძის კამპუსი, ბიბლიოთეკა<br>მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #240 |

*ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული ყოველწლიურად დეკემბრის თვეში იმართება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზებით. მისი მიზანი სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ადამიანის უფლებების პრობლემური საკითხების შესახებ ცოდნის გავრცელება და უნივერსიტეტების თანამშრომლობის გზით ადამიანის უფლებების სამართლის შესახებ იდეათა და მოსაზრებათა აქტიური ურთიერთგაცვლაა.*

*მონაწილე უნივერსიტეტებს სჯერათ, რომ ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ადამიანის უფლებათა პრობლემური საკითხების შესახებ ფართო საზოგადოებრივი დისკუსია და ქართულ საზოგადოებაში ადამიანის ღირსების, თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის განმტკიცება.*

*2022 წლის 2-10 დეკემბრის კვირაში, საქართველოს 15 უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორებისა და სტუდენტების მონაწილეობით, ადამიანის უფლებათა სამართლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება. ღონისძიებების თემები უნივერსიტეტების მიერ შეირჩა ქართული საზოგადოებისთვის მათი აქტუალობის საფუძველზე.*

*ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის მხარდამჭერია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა.*